საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/931
15/02/2023

931-21-2-202302151417

ი/მ თეიმურაზ ჭანკოტაძეს
მის: ქ. ზესტაფონი, ს. ზაქარიაძის N41
ელ. ფოსტა: znzn63@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის №270 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ზესტაფონში, ს. ზაქარიაძის N41-ში სასარგებლო წიაღისეულის (გრანიტის ქვა) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იქნეს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ყვირილა მიედინება 50 მეტრში. მონაცემების ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორია ზედაპირული წყლის ობიექტიდან დაშორებულია დაახლოებით 35 მეტრით და ექცევა მდ. ყვირილას (მდინარის სიგრძე 140 კმ) წყალდაცვით ზოლში (50 მ). შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებასთან თავსებადობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს საათური წარმადობის შესახებ;
- წარმოდგენილ უნდა იქნეს საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ ინფორმაცია უახლოეს მოსახლემდე დაშორების (100 მ) გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი შეადგენს 100 მეტრს, ამასთან განთავსებულია სხვა საცხოვრებელი სახლებიც. შესაბამისად სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს

ინფორმაციას საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებით აღნიშნული საცხოვრებელი სახლების (საპროექტო ტერიტორიიდან დაშორების მანძილების მითითებით) მესაკუთრეებთან კომუნიკაციის ამსახველი ინფორმაციის შესახებ;

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიწის ნაკვეთზე, სადაც დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია ფუნქციონირებს ქვის სახერხი საამქრო, ამასთან, მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს განთავსებულია სხვადასხვა საწარმოო ობიექტები. შესაბამისად დოკუმენტი უნდა მოიცავდეს სრულყოფილ ინფორმაციას არსებული საწარმოო ობიექტებისა და მათი ფუნქციური დანიშნულების შესახებ, აგრეთვე საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასების შესახებ, უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო